ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ს 12 14083 1157 16 01 04 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №4-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტომობილების სარეალიზაციო და საგარანტიო მომსახურების ცენტრი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №20/138 14.04.2005წ.
მშენებლობის ნებართვა – ნ/115 21.02.2007წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №4-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

<u>ფასადი 1-5 ღერძებში:</u> შეცვლილია ვიტრაჟების და კარ-ფანჯრების მოწყობა. -0.20 ნიშნულზე დამატებულია საფეხურები და კედელზე ქვის ფილებით მოპირკეთება. დამატებულია კონდიციონერი. +3.30 ნიშნულზე შეცვლილია აივნის ფილის ფორმა. კედლებს და ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია A–A ღერძზე, რის გამოც გაზრდილია აივნის ფართი. 3-3 ღერძთან დამატებულია ლითონის კიბე და სვეტი, რის გამოც აივნის ფილაში დამატებულია ღიობი.

უკანა ფასადი შესაღებია, ხოლო ორი მცირე ფრაგმენტი შესალესია. სახურავის ძირი მოსაპირკეთებელია.

გაზრდილია შენობის გაბარიტები, B–B ღერძზე კედელი დახრილადაა მოწყობილი, 1-1 ღერძის გარეთ არ არის მოწყობილი საპროექტო კედელი და გამოყენებულია მომიჯნავე შენობის კედელი (რომელშიც მოწყობილია ღიობები). 5-5 ღერძის გარეთ კედელში მოწყობილია გამწოვი ღიობები. 4-5 მონაკვეთში შეცვლილია კიბის კომფიგურაცია და მონოლითურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის, აღნიშნული კიბის თავზე შეცვლილია ფილაში მოწყობილი ღიობის ფორმა, დამატებულია შველერები. აივანზე 1-1 ღერძის გარეთ დამატებულია კიბის საფეხურები.

შეცვლილია შენობის კონსტრუქციული სქემა, ზოგიერთი მონოლითური კედლის ნაცვლად მოწყობილია ლითონის სვეტები.

შეცვლილია სახურავის კომფიგურაცია და ქანობი. გაუქმებულია პარაპეტები.

შეცვლილია საკადასტრო კოდი №1.10.9.13.10-ის ნაცვლად, რეგისტრირებულია 01.72.14.034.483.

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ფართობი პროექტში ნაჩვენები 1094.0 მ^2-ის ნაცვლად რეგისტრირებულია 1553.26 კვ.მ.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს

მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ჯი-თი-ეს ლადა-ვაზი”-ს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №4-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტომობილების სარეალიზაციო და საგარანტიო მომსახურების ცენტრი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/140831157-16 24.03.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი